



2023 წ.

# 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-აბვისტო)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, სექტემბერი, 2023 წ.




## 2023 წლის იანვარ-აგვისტოში:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **14,639.1 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 66.8%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 94.0%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 74.5%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად შემოსულობებში აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს და უტოლდება 2022 წლის ანალოგიურ მონაცემს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **13,815.7 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 63.1%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 86.3%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 78.0%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **823.4 მლნ ლარი** შეადგინა და 2023 წლის 1 სექტემბრისთვის - **2,070.9 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა.

# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 21,914.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა - 21,880.1 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-აგვისტოში შემოსულობების შესრულება შეადგენს 14,639.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 66.8%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,618.6 მლნ ლარით (21.8%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 13,815.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 63.1%) და 1,989.2 მლნ ლარით (16.8%-ით) მეტია წინა წლის იანვარ-აგვისტოს მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 8 თვის შესრულების მაჩვენებლები.



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 8 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია<sup>1</sup> 15,574.6 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის შესრულება მის 94.0%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 9 თვის გეგმის მიმართ გადაჭარბებით არის შესრულებული ფინანსური აქტივების კლებისა (101.8%) და ვალდებულებების ზრდის (110.6%) კომპონენტები, კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლები (91.7%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი გამოირჩევა მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრით (59.4%).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია 16,016.5 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 8 თვის შესრულება 9 თვის გეგმის 86.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 87.0%-ს უტოლდება. ხოლო დანარჩენი 3 კომპონენტის, არაფინანსური აქტივების ზრდის, ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების, შესრულება შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (9 თვის გეგმის შესაბამისად, 84.8%, 83.1% და 81.2%).


<sup>1</sup> „საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 31 აგვისტოს №320 ბრძანება.

დასახელება	2023 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	8 თვის შესრულება	8 თვე/9 თვის გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	8 თვის შესრულება	8 თვე/9 თვის გეგმა
შემოსულობები	21,914.2	15,574.6	14,639.1	94.0%	გადასახდელები	21,880.1	16,016.5	13,815.7	86.3%
შემოსავლები	17,619.9	13,266.1	12,166.5	91.7%	ხარჯები	16,335.2	12,384.1	10,770.1	87.0%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	122.0	72.4	59.4%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	2,572.6	2,181.6	84.8%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	207.5	211.2	101.8%	ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	194.5	161.7	83.1%
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	1,979.0	2,189.0	110.6%	ვალდებულებების კლება	1,218.5	865.3	702.3	81.2%

ცხრილი 1: 2023 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ<sup>2</sup> 8 თვეში შეადგინა 1,396.4 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ<sup>3</sup> - 712.8 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 8 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2014-2023 წლების 8 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 8 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი. იანვარ-აგვისტოში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 823.4 მლნ ლარი შეადგინა და 2023 წლის 1 სექტემბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 2,070.9 მლნ ლარის ოდენობით.

<sup>2</sup> საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.


<sup>3</sup> მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აგვისტოსთვის მაჩვენებლები

2023 წლის აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 1,841.2 მლნ ლარი, რაც 241.2 მლნ ლარით ნაკლებია ივლისის მაჩვენებელზე, ხოლო წინა წლის აგვისტოს მაჩვენებელს 474.9 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2023 წლის აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,740.8 მლნ ლარს, რაც ივლისის მაჩვენებელზე 374.2 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2022 წლის აგვისტოს მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 379.9 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (80.4%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (18.8%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელმა შეადგინა 13.5 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული იქნა 1.6 მლნ ლარი.


შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

2023 წლის აგვისტოში ხარჯების მაჩვენებელმა 1,141.9 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, შესაბამისად - 505.1 მლნ ლარს და 17.2 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 76.6 მლნ ლარს გაუტოლდა.


გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების** მიმოხილვა, რაზეც აგვისტოში მიღებული შემოსავლების 93.9%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 75.5% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,389.9


გადასახადები სახეების მიხედვით



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

მლნ ლარი, ივლისის მაჩვენებელზე (1,474.1 მლნ ლარი) 84.2 მლნ ლარით ნაკლები. წინა თვესთან შედარებით შემოსავალი ყველა გადასახადიდან შემცირებულია, გარდა საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადებისა (რომელთა სახით მიღებულია, შესაბამისად, 4.0 მლნ ლარით და 58.6 მლნ ლარით მეტი): სხვა გადასახადები შემცირებულია 54.5 მლნ ლარით (შეადგენს -45.6 მლნ ლარს<sup>4</sup>), მოგების გადასახადი - 71.2 მლნ ლარით, იმპორტის გადასახადი - 5.2 მლნ ლარით, ხოლო აქციზი - 15.9 მლნ ლარით (ძირითადად იმპორტირებული თამბაქოსა და ბენზინის დაბეგვრიდან შემოსავლის 13%-იანი კლების გავლენით).

ხარჯები სახეების მიხედვით



დიაგრამა 7: გაწეული ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, **ხარჯებს**, იგი აგვისტოში გაწეული მთლიანი გადასახდელების 65.6%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა აგვისტოში შეადგინა 1,141.9 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,779.3 მლნ ლარი) 637.4 მლნ ლარით (35.8%-ით) ნაკლები. ივლისის მაჩვენებლებთან შედარებით, ყველა სახის ხარჯი (სუბსიდიების გარდა, რომელიც გაზრდილია 29.8 მლნ ლარით), შემცირებულია: სხვა ხარჯები - 223.4 მლნ ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 179.4 მლნ ლარით, პროცენტი - 176.3 მლნ ლარით, გრანტები - 69.2 მლნ ლარით, შრომის ანაზღაურების - 5.1 მლნ ლარით და საქონელი და მომსახურება - 13.8 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდომ** შეადგინა 338.1 მლნ ლარი, ხოლო **მთლიანმა სალდომ** - (-165.4) მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აგვისტოში მიღებული შემოსულობებისა (1,841.2 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,740.8 მლნ ლარი) გათვალისწინებით, აგვისტოს თვეში **ნაშთის დაგროვებამ** შეადგინა 100.4 მლნ ლარი.

<sup>4</sup> 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა **14,639.1 მლნ ლარი** შეადგინა. ძირითადი წილი, 83.1%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2021-2022 წლებთან შედარებით გაზრდილია, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების მატების გავლენით. რაც შეეხება მის წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელი 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით მცირედით შემცირებულია, 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით კი - მნიშვნელოვნად გაზრდილი (2022 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 83.6%-ს, ხოლო 2021 წელს - 68.3%-ს). ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები 2022 წელთან შედარებით გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად მთლიან შემოსულობებში, 2021 წელთან შედარებით კი - მკვეთრად შემცირებული (2023 წლის 8 თვეში ვალდებულებების ზრდის წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 15.0%-ს შეადგენს, 2022 წელს 14.5%-ს და 2021 წელს 30.2%-ს შეადგენდა). მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 1.9%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2022 წელს 2.0%-ს, ხოლო 2021 წელს 1.5%-ს შეადგენდა.

2021-2023 წწ. 8 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 8: 2021-2023 წწ. 8 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

**შემოსავლების** სახით იანვარ-აგვისტოში მიღებულია 12,166.5 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 91.7% და წლიური გეგმის 69.0%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 2,123.4 მლნ ლარით (21.1%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, 9 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტებისა და სხვა შემოსავლების მაჩვენებლები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

8 თვეში მიღებული **საგადასახადო შემოსავლები** 10,900.7 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 89.6%-ს და წლიური გეგმის 66.9%-ს შეადგენს. 9 თვის გეგმის მიმართ ყველა გადასახადი, გარდა სხვა გადასახადისა (რომლის სახით 9 თვეში დაგეგმილია 155.0 მლნ ლარი, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა კი -147.7 მლნ ლარი შეადგინა), მობილიზების მაღალი დონით ხასიათდება და 88.3%-100.4%-ის ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 1,949.2 მლნ ლარით (21.8%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება განპირობებულია ძირითადად საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ის მნიშვნელოვანი ზრდით (შესაბამისად, 22.1%-ით და 15.6%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 546.5 მლნ ლარით (20.5%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-აგვისტოში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 4,421.0 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 595.0 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 536.2 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 58.7 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 16.8%-ით (201.9 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 194.4 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 99.7 მლნ ლარით (20.8%-ით) მეტი შემოსავალი).



დიაგრამა 9: 2022-2023 წწ. 8 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

**გრანტების** ფაქტობრივი მარჯვენებელი (198.3 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და 9 თვის გეგმის 126.8%-ს და წლიური გეგმის 70.9%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 8 თვეში მიღებულია 56.0 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე), აგრეთვე, ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან (9 თვის გეგმის 104.6%). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი 61.3 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 87.5%) და საინვესტიციო გრანტები 20.9 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 72.2%).

**სხვა შემოსავლების** სახით 8 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 1,067.6 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 113.1% (წლიური გეგმის 101.7%), რაც დაკავშირებულია საკუთრებიდან შემოსავლების 19.7%-იანი გადაჭარბებით მიღებასთან (აღნიშნულზე გავლენა მოახდინა დივიდენდის სახით, კერძოდ, ეროვნული ბანკის მოგებიდან ბიუჯეტში 112.8 მლნ ლარის გადაჭარბებით, 462.8 მლნ ლარის ოდენობით თანხის ჩარიცხვამ). გარდა ამისა, ასევე, მნიშვნელოვანი შემოსავლებია მიღებული (184.4 მლნ ლარის ოდენობით) არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით (9 თვის გეგმის 97.6%).

**არაფინანსური აქტივების კლების** მუხლით შემოსულობები (72.4 მლნ ლარი) შესრულების დაბალი მარჯვენებლით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 59.4%-ს (წლიური გეგმის 36.2%) შეადგენს.

**ფინანსური აქტივების კლების** მუხლით მიღებულია 211.2 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 101.8% (წლიური გეგმის 46.9%), რაც ძირითადად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე. წინა წლის მარჯვენებელთან შედარებით იგი გაზრდილია 106.9 მლნ ლარით (2-ჯერ).

**ვალდებულებების ზრდის** მუხლით შემოსულობებმა 8 თვეში 2,189.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 110.6%-ია. საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები ძირითადად შემოსულია საინვესტიციო კრედიტების სახით, 965.3 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 91.6%), ხოლო საბიუჯეტო კრედიტების სახით მიღებულია 210.9 მლნ ლარი (თუმცა 9 თვის გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ არის).

	8 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>2,189.0</b>	<b>110.6%</b>	<b>60.1%</b>
<b>საგარეო საბიუჯეტო კრედიტები</b>	<b>1,176.2</b>	<b>111.6%</b>	<b>52.4%</b>
საბიუჯეტო კრედიტები	210.9		52.7%
საინვესტიციო კრედიტები	965.3	91.6%	52.3%
<b>საშინაო</b>	<b>1,012.8</b>	<b>109.5%</b>	<b>72.3%</b>


ცხრილი 2 : 2023 წლის 8 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მარჯვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 1,012.8 მლნ ლარი შეადგინა (9 თვის გეგმის 109.5%).

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 13,815.7 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 78.0%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით. კერძოდ, 2021 წლის 8 თვეში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 68.7%-ს, ხოლო 2022 წლის 8 თვეში - 79.7%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2023 წლის იანვარ-აგვისტოში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 15.8% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.2% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 5.1%. 2022 წლის იანვარ-აგვისტოში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 13.9%-ის, 1.0%-ის და 5.5%-ის ოდენობებით, ხოლო, 2021 წლის იანვარ-აგვისტოში - 11.0%-ის, 1.7%-ის და 18.5%-ის ოდენობებით.


2021-2023 წწ. 8 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2021-2023 წლების იანვარ-აგვისტოში (მლნ ლარი)

**ხარჯების** შესრულებამ იანვარ-აგვისტოში შეადგინა 10,770.1 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 87.0% და წლიური გეგმის 65.9%, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 1,349.5 მლნ ლარით (14.3%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა სხვა ხარჯებისა, რომელიც შემცირებულია 99.2 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (422.2 მლნ ლარი) და პროცენტის (307.7 მლნ ლარი) მუხლებზე. 9 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (91.7%), სოციალური უზრუნველყოფის (89.6%) და სხვა ხარჯების (87.8%) მუხლები. 9 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება საქონელი და მომსახურების (84.5%), სუბსიდიების (84.0%), შრომის ანაზღაურების (82.7%) და გრანტების (81.0%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (846.6 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიღარა 525.1 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 321.5 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (4,444.9 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (3,262.2 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (853.2 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (234.5 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2022-2023 წწ. 8 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

**არაფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულება (2,181.6 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 84.8%-ს და წლიური გეგმის 56.2%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (1,068.5 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (277.2 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (161.9 მლნ ლარი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (101.0 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (91.4 მლნ ლარი) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (82.1 მლნ ლარი).

**ფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (161.7 მლნ ლარი), 9 თვის გეგმის 83.1%-ს და წლიური გეგმის 36.3%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები მოდის:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე:
  - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) - 53.8 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ „საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 08) – 1.1 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 19) - 3.4 მლნ ლარის ოდენობით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე:
  - ✓ „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 04) - 93.2 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05) - 8.7 მლნ ლარის ოდენობით.

დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 1.4 მლნ ლარის ოდენობით.

**ვალდებულებების კლების** მუხლის შესრულება (702.3 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 81.2%-ს შეადგენს, ხოლო, წლიურ გეგმასთან მიმართებით - 57.6%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 677.7 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	8 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>702.3</b>	<b>81.2%</b>	<b>57.6%</b>
საგარეო	677.7	81.6%	57.6%
საშინაო	24.6	70.6%	57.4%

ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 8 თვეში (მლნ ლარი, %)

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, გადასახდელების იანვარ-აგვისტოს შესრულება მოიცავს **დამატებით 7 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 03) – 1.3 მლნ ლარი;
- „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის (KfW)“ (პროგრამული კოდი - 27 06 06) – 1.0 მლნ ლარი;
- „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აჭარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW)“ (პროგრამული კოდი - 55 13 13) – 0.9 მლნ ლარი;
- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 10) – 0.7 მლნ ლარი;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 56 00) – 0.5 მლნ ლარი;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 0.5 მლნ ლარი;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) – 0.1 მლნ ლარი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარ-აგვისტოში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 1,541.2 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 86.6% და წლიური გეგმის 63.9%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 569.4 მლნ ლარი, საიდანაც 226.6 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 329.1 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 13.7 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-აგვისტოში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 234.5 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 234.5 მლნ ლარის, 29.5 მლნ ლარის და 7.2 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის<sup>5</sup> მიხედვით შეადგინა 12,951.7 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 86.6% და წლიური გეგმის 64.1%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2023 წლის 8 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



დიაგრამა 12: 2023 წლის 8 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

## გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლების იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარ-აგვისტოში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

<sup>5</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

# დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 8 თვის შესრულება	2022 წლის 8 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა*	2023 წლის 8 თვის შესრულება	2023 წლის 8 თვის შესრულება / 2023 წლის 9 თვის გეგმა		2023 წლის 8 თვის შესრულება / 2022 წლის 8 თვის შესრულება		2023 წლის 8 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსულობები</b>	<b>11,529.5</b>	<b>12,020.5</b>	<b>21,914.2</b>	<b>15,574.6</b>	<b>14,639.1</b>	<b>-935.5</b>	<b>94.0%</b>	<b>2,618.6</b>	<b>21.8%</b>	<b>66.8%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>7,874.3</b>	<b>10,043.1</b>	<b>17,619.9</b>	<b>13,266.1</b>	<b>12,166.5</b>	<b>-1,099.6</b>	<b>91.7%</b>	<b>2,123.4</b>	<b>21.1%</b>	<b>69.0%</b>
გადასახადები	7,032.0	8,951.4	16,290.4	12,165.6	10,900.7	-1,264.9	89.6%	1,949.2	21.8%	66.9%
საშემოსავლო გადასახადი	2,205.4	3,052.6	5,140.0	3,945.6	3,727.0	-218.6	94.5%	674.5	22.1%	72.5%
მოგების გადასახადი	717.5	1,392.6	2,000.0	1,580.0	1,395.0	-185.0	88.3%	2.4	0.2%	69.7%
დღგ	3,084.8	3,826.0	6,670.4	4,883.0	4,421.0	-462.0	90.5%	595.0	15.6%	66.3%
აქციზი	1,110.7	1,203.1	2,100.0	1,511.0	1,405.0	-106.0	93.0%	201.9	16.8%	66.9%
იმპორტის გადასახადი	54.1	75.9	130.0	91.0	100.4	9.4	110.4%	24.5	32.3%	77.3%
სხვა გადასახადები	-140.6	-598.6	250.0	155.0	-147.7	-302.7	-95.3%	450.9	-75.3%	-59.1%
გრანტები	282.7	246.1	279.6	156.3	198.3	41.9	126.8%	-47.9	-19.4%	70.9%
სხვა შემოსავლები	559.6	845.5	1,050.0	944.2	1,067.6	123.4	113.1%	222.0	26.3%	101.7%
არაფინანსური აქტივების კლება	<b>95.7</b>	<b>131.8</b>	<b>200.0</b>	<b>122.0</b>	<b>72.4</b>	<b>-49.6</b>	<b>59.4%</b>	<b>-59.4</b>	<b>-45.1%</b>	<b>36.2%</b>
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ბამოკლებით)	<b>78.3</b>	<b>104.3</b>	<b>450.0</b>	<b>207.5</b>	<b>211.2</b>	<b>3.7</b>	<b>101.8%</b>	<b>106.9</b>	<b>102.5%</b>	<b>46.9%</b>
ვალდებულებების ზრდა	<b>3,481.2</b>	<b>1,741.3</b>	<b>3,644.3</b>	<b>1,979.0</b>	<b>2,189.0</b>	<b>210.0</b>	<b>110.6%</b>	<b>447.7</b>	<b>25.7%</b>	<b>60.1%</b>
საგარეო	4,146.7	1,023.6	2,244.3	1,054.0	1,176.2	122.2	111.6%	152.6	14.9%	52.4%
საშინაო	-665.5	717.7	1,400.0	925.0	1,012.8	87.8	109.5%	295.1	41.1%	72.3%
<b>გადასახდელები</b>	<b>12,862.4</b>	<b>11,826.5</b>	<b>21,880.1</b>	<b>16,016.5</b>	<b>13,815.7</b>	<b>-2,200.8</b>	<b>86.3%</b>	<b>1,989.2</b>	<b>16.8%</b>	<b>63.1%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>8,841.1</b>	<b>9,420.6</b>	<b>16,335.2</b>	<b>12,384.1</b>	<b>10,770.1</b>	<b>-1,614.0</b>	<b>87.0%</b>	<b>1,349.5</b>	<b>14.3%</b>	<b>65.9%</b>
შრომის ანაზღაურება	1,066.2	1,157.9	2,236.7	1,671.2	1,382.8	-288.4	82.7%	224.9	19.4%	61.8%
საქონელი და მომსახურება	1,074.4	1,177.1	2,025.5	1,567.5	1,324.7	-242.8	84.5%	147.6	12.5%	65.4%
პროცენტი	562.7	538.9	1,201.0	923.2	846.6	-76.6	91.7%	307.7	57.1%	70.5%
სუბსიდიები	491.5	428.3	927.6	679.0	570.3	-108.7	84.0%	142.0	33.2%	61.5%
გრანტები	445.5	566.2	1,275.8	951.2	770.4	-180.8	81.0%	204.2	36.1%	60.4%
სოციალური უზრუნველყოფა	3,916.2	4,022.7	6,447.9	4,962.6	4,444.9	-517.7	89.6%	422.2	10.5%	68.9%
სხვა ხარჯები	1,284.6	1,529.6	2,220.7	1,629.4	1,430.4	-199.0	87.8%	-99.2	-6.5%	64.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	<b>1,414.8</b>	<b>1,638.7</b>	<b>3,881.3</b>	<b>2,572.6</b>	<b>2,181.6</b>	<b>-391.0</b>	<b>84.8%</b>	<b>542.9</b>	<b>33.1%</b>	<b>56.2%</b>
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის ბამოკლებით)	<b>222.2</b>	<b>115.7</b>	<b>445.1</b>	<b>194.5</b>	<b>161.7</b>	<b>-32.8</b>	<b>83.1%</b>	<b>45.9</b>	<b>39.7%</b>	<b>36.3%</b>
ვალდებულებების კლება	<b>2,384.3</b>	<b>651.5</b>	<b>1,218.5</b>	<b>865.3</b>	<b>702.3</b>	<b>-163.0</b>	<b>81.2%</b>	<b>50.9</b>	<b>7.8%</b>	<b>57.6%</b>
საგარეო	2,340.6	626.6	1,175.6	830.4	677.7	-152.7	81.6%	51.1	8.2%	57.6%
საშინაო	43.7	24.9	42.9	34.9	24.6	-10.3	70.6%	-0.2	-0.9%	57.4%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - ბამოყენება)</b>	<b>-1,332.9</b>	<b>194.0</b>	<b>34.1</b>	<b>-441.9</b>	<b>823.4</b>	<b>1,265.2</b>		<b>629.4</b>		

\* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №320)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 8 თვის შესრულება	2022 წლის 8 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 8 თვის შესრულება	2023 წლის 8 თვის შესრულება / 2023 წლის 9 თვის გეგმა		2023 წლის 8 თვის შესრულება / 2022 წლის 8 თვის შესრულება		2023 წლის 8 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსავლები</b>	<b>7,874.3</b>	<b>10,043.1</b>	<b>17,619.9</b>	<b>13,266.1</b>	<b>12,166.5</b>	<b>-1,099.6</b>	<b>91.7%</b>	<b>2,123.4</b>	<b>21.1%</b>	<b>69.0%</b>
გადასახადები	7,032.0	8,951.4	16,290.4	12,165.6	10,900.7	-1,264.9	89.6%	1,949.2	21.8%	66.9%
გრანტები	282.7	246.1	279.6	156.3	198.3	41.9	126.8%	-47.9	-19.4%	70.9%
სხვა შემოსავლები	559.6	845.5	1,050.0	944.2	1,067.6	123.4	113.1%	222.0	26.3%	101.7%
<b>ხარჯები</b>	<b>8,841.1</b>	<b>9,420.6</b>	<b>16,335.2</b>	<b>12,384.1</b>	<b>10,770.1</b>	<b>-1,614.0</b>	<b>87.0%</b>	<b>1,349.5</b>	<b>14.3%</b>	<b>65.9%</b>
შრომის ანაზღაურება	1,066.2	1,157.9	2,236.7	1,671.2	1,382.8	-288.4	82.7%	224.9	19.4%	61.8%
საქონელი და მომსახურება	1,074.4	1,177.1	2,025.5	1,567.5	1,324.7	-242.8	84.5%	147.6	12.5%	65.4%
პროცენტი	562.7	538.9	1,201.0	923.2	846.6	-76.6	91.7%	307.7	57.1%	70.5%
სუბსიდიები	491.5	428.3	927.6	679.0	570.3	-108.7	84.0%	142.0	33.2%	61.5%
გრანტები	445.5	566.2	1,275.8	951.2	770.4	-180.8	81.0%	204.2	36.1%	60.4%
სოციალური უზრუნველყოფა	3,916.2	4,022.7	6,447.9	4,962.6	4,444.9	-517.7	89.6%	422.2	10.5%	68.9%
სხვა ხარჯები	1,284.6	1,529.6	2,220.7	1,629.4	1,430.4	-199.0	87.8%	-99.2	-6.5%	64.4%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>-966.8</b>	<b>622.5</b>	<b>1,284.7</b>	<b>882.0</b>	<b>1,396.4</b>	<b>514.4</b>	<b>158.3%</b>	<b>773.9</b>	<b>124.3%</b>	<b>108.7%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1,319.1</b>	<b>1,506.9</b>	<b>3,681.3</b>	<b>2,450.6</b>	<b>2,109.2</b>	<b>-341.4</b>	<b>86.1%</b>	<b>602.3</b>	<b>40.0%</b>	<b>57.3%</b>
ზრდა	1,414.8	1,638.7	3,881.3	2,572.6	2,181.6	-391.0	84.8%	542.9	33.1%	56.2%
კლება	95.7	131.8	200.0	122.0	72.4	-49.6	59.4%	-59.4	-45.1%	36.2%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-2,285.9</b>	<b>-884.4</b>	<b>-2,396.6</b>	<b>-1,568.6</b>	<b>-712.8</b>	<b>855.7</b>	<b>45.4%</b>	<b>171.5</b>	<b>-19.4%</b>	<b>29.7%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-1,188.9</b>	<b>205.4</b>	<b>29.2</b>	<b>-454.9</b>	<b>773.9</b>	<b>1,228.7</b>	<b>-170.1%</b>	<b>568.4</b>	<b>276.7%</b>	<b>2650.0%</b>
ზრდა	222.2	309.7	479.2	194.5	985.0	790.6	506.5%	675.3	218.1%	205.6%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	194.0	34.1	0.0	823.4	823.4		629.4	324.5%	2414.4%
სესხები	222.2	115.7	445.1	194.5	160.5	-33.9	82.6%	44.8	38.7%	36.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	1.1	1.1		1.1		
<b>კლება</b>	<b>1,411.2</b>	<b>104.3</b>	<b>450.0</b>	<b>649.4</b>	<b>211.2</b>	<b>-438.2</b>	<b>32.5%</b>	<b>106.9</b>	<b>102.5%</b>	<b>46.9%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	1,332.9	0.0	0.0	441.9	0.0	-441.9	0.0%	0.0		
სესხები	78.1	103.4	450.0	207.5	209.7	2.2	101.0%	106.2	102.7%	46.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.2	0.9	0.0	0.0	1.5	1.5		0.7	78.7%	
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>1,096.9</b>	<b>1,089.8</b>	<b>2,425.8</b>	<b>1,113.7</b>	<b>1,486.7</b>	<b>373.0</b>	<b>133.5%</b>	<b>396.9</b>	<b>36.4%</b>	<b>61.3%</b>
ზრდა	3,481.2	1,741.3	3,644.3	1,979.0	2,189.0	210.0	110.6%	447.7	25.7%	60.1%
საშინაო	-665.5	717.7	1,400.0	925.0	1,012.8	87.8	109.5%	295.1	41.1%	72.3%
საგარეო	4,146.7	1,023.6	2,244.3	1,054.0	1,176.2	122.2	111.6%	152.6	14.9%	52.4%
<b>კლება</b>	<b>2,384.3</b>	<b>651.5</b>	<b>1,218.5</b>	<b>865.3</b>	<b>702.3</b>	<b>-163.0</b>	<b>81.2%</b>	<b>50.9</b>	<b>7.8%</b>	<b>57.6%</b>
საშინაო	43.7	24.9	42.9	34.9	24.6	-10.3	70.6%	-0.2	-0.9%	57.4%
საგარეო	2,340.6	626.6	1,175.6	830.4	677.7	-152.7	81.6%	51.1	8.2%	57.6%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 8 თვის შესრულება	2023 წლის 8 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 8 თვის შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	21,880.1	16,016.5	13,815.7	63.1%	86.3%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77.5	58.7	49.6	64.1%	84.5%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	63.7	48.4	41.9	65.7%	86.4%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდევლო საქმიანობა	23.5	17.6	12.7	54.1%	72.0%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	7.9	5.9	5.0	64.0%	85.4%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	32.4	24.9	24.2	74.5%	96.9%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	32.4	24.9	24.1	74.5%	96.9%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.04	0.02	33.7%	45.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.0	9.0	6.7	55.9%	74.5%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.6	0.4	0.3	54.1%	71.6%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.9	0.7	64.3%	84.5%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.3	7.2	5.7	61.1%	79.1%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.8	0.6	0.4	56.0%	74.7%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	24.0	17.3	28.0	116.6%	161.3%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21.3	17.1	12.3	57.8%	72.3%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	56.0	47.8	46.5	83.0%	97.2%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	16.8	12.5	58.1%	74.7%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	1.5	1.3	81.3%	89.7%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	9.6	8.5	66.7%	88.9%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	20.0	20.0	24.1	120.5%	120.5%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.8	4.5	3.3	56.4%	73.5%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	16.1	12.2	9.6	59.8%	79.0%
09 00	საერთო სასამართლოები	117.0	82.7	62.9	53.7%	76.0%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114.5	80.8	61.8	54.0%	76.5%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	1.9	1.1	42.5%	56.7%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	7.9	5.9	3.3	41.7%	55.9%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.3	1.0	0.8	58.6%	77.1%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.6	55.8%	73.2%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ქიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.3	1.0	0.9	68.5%	88.5%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.7	60.5%	78.6%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.6	55.2%	70.2%

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 8 თვის შესრულება	2023 წლის 8 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 8 თვის შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.6	57.3%	73.2%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.8	0.6	61.4%	80.6%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.3	1.1	0.9	64.8%	79.8%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.8	0.6	58.2%	76.0%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	180.0	139.8	112.7	62.6%	80.6%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	147.7	111.8	88.3	59.8%	78.9%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	30.0	26.1	23.0	76.9%	88.2%
